საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N38 05.02 2019წ - 05.02.2026წ. სწავლის საფასური- 2250 ლარი.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	***ეკონომიკის ბაკალავრი***
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 ECTS კრედიტი. ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი, დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ან თავისუფალი არჩევითი კურსები- 60 ECTS კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის ბაკალავრები რომლებიც აკავშირებენ ერთმანეთს მიკრო და მაკროეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებლებს, განასხვავებენ ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკაში რაოდენობრივი, სტატისტიკური მეთოდებისა და მოდელების, საოჯახო მეურნეობების, ფირმების ქცევაზე მოქმედი ფაქტორების თავისებურებებს. აგროვებენ ეროვნული შემოსავლების წარმოების, განაწილების და მოხმარების, დანაზოგების, ინვესტიციების, სავალუტო კურსის, საგადასახადო ბალანსის შესახებ სანდო ინფორმაციებს. ცნობენ შრომის, საქონლის, მომსახურების და ფინანსურ ბაზრებზე ფირმის და შიდა მეურნეობების ქცევაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას. არჩევენ საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებებს.
სწავლის შედეგები	- ცნობენ თანამედროვე ეკონომიკური თეორიებისა და პრინციპების თავისებურებებს, თანამედროვე აზროვნების პარადიგმებს, მათ კლასიკურ პირველწყაროებს. - არჩევენ სფეროს კომპლექსურ საკითხებს, დარგში მიღწეული შედეგების პრაქტიკული გამოყენების მრავალფეროვან შესაძლებლობებს. - აგროვებენ ქვეყანაში მიმდინარე მაკრო და მიკროეკონომიკური, დემოგრაფიული, ფისკალური და მონეტარული პროცესების მონაცემებს, ახდენენ მათ იდენტიფიცირებას, მოპოვებას, თავმოყრას, დაჯგუფებას, შერჩევას, ანალიზს და მათი გადაჭრის შესახებ რეკომენდაციების მომზადებას. - სხვადასხვა ეკონომიკური პროექტებისა და პროგრამების დასაბუთებისათვის მიმოიხილავენ ქვეყანაში არსებულ ფინანსურ, სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას, შრომის ბაზრის, მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებსა და შედეგებს, მოსახლეობის ცხოვრების დონის, სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობებს.
შეფასების წესი	**სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:** ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: ნათელა წიკლაშვილი, პროფესორი **ტელეფონი**: (+995 77) 952595, **ელ-ფოსტა**: n-tsiklasshvilil@gmail.com მურმან ცეცხლაძე, ასოცირებული პროფესორი **ტელეფონი**: 577 21 00 19 **ელ-ფოსტა**: murman.Tsetskhladze@bsu.edu.ge